

მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულება



წინამდებარე დებულება ადგენს, იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს (ტექსტში შემდგომ - „საზოგადოება“) მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ, მხარეთა შორის სამოქალაქო დავის განხილვისათვის არბიტრაჟის ფორმირების, საარბიტრაჟო დავის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება.

1.) იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი (ტექსტში შემდგომ - „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ არის სამეწარმეო ორგანიზაციის, იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა, თანახმად „არბიტრაჟის შესახებ“ (მოქმედი) კანონისა.

2.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე - იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს დებულების თანახმად, იმავდროულად არის იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს დირექტორის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს საქმიანობას. იგი იმავდროულად შეიძლება იყოს დავის განმხილველი არბიტრიც.

3.) არბიტრაჟი - არის „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს თავმჯდომარის, ან დავის მხარეთა მიერ დანიშნული, მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, რომელიც შედგება ერთი, ან რამდენიმე არბიტრისაგან. „არბიტრაჟი“ სამართალურთიერთობაში გამოდის იურიდიულ კომპანია - შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს სახელით.

4.) არბიტრი - დავის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით, არბიტრაჟში დანიშნული პირი.

5.) კანცელარია - „საზოგადოების“ სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას, როგორც დავის მხარეთა, პროცესის სხვა მონაწილეთა (მოწმე, სპეციალისტი, თარჯიმანი, სასამართლო და სხვ.) შორის, ასევე, მათსა და არბიტრაჟს შორის.

6.) მხარეები - პრეტენდენტი, მოპასუხე და მე-3 პირი.

7.) პრეტენდენტი - მხარე, რომელიც საარბიტრაჟო პრეტენზიას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს.

8.) მოპასუხე - მხარე, რომლის წინააღმდეგაც არბიტრაჟში წარმოდგენილია საარბიტრაჟო პრეტენზია.

9.) მესამე პირი - მხარე, რომლის ინტერესებსაც პირდაპირ ეხება, ან შეიძლება შეეხოს განსახილველი დავის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და მისი სამართლებრივი სტატუსი (მე-3 პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მე-3 პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავით.

10.) რეგისტრატორი - კანცელარიის უფროსი, რომლის მოვალეობაც შესაძლებელია შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებულმა სხვა პირმა;

11.) დებულება - წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟში“ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოდგენისა და საარბიტრაჟო საქმის წარმოების პროცესს;

12.) კანონი - საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ;

13.) საარბიტრაჟო მოსაკრებელი - არბიტრაჟში დავის განხილვისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ამავე დებულებით;

14.) საარბიტრაჟო დავა - სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი სამოქალაქო დავა, რომლის მხარეებიც თანხმდებიან სადავო საკითხის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე;

15.) მტკიცებულება - ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც, არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნების და განცხადების სამართლიანობას და დასაბუთებულობას. არბიტრაჟისათვის არცე-ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული იურიდიული ძალა;

16.) (ამოღებულია);

17.) არბიტრაჟის გადაწყვეტილება - საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, არბიტრაჟის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება;

18.) (ამოღებულია);

19.) არბიტრაჟის დადგენილება - არბიტრაჟის ქტი, რომელიც მიიღება მუდმივმოქმედ არბიტრაჟის და დავის განმხილველ არბიტრაჟში მიმდინარე, საორგანიზაციო საკითხებზე, რომლებიც არსებით გავლენას არ ახდენენ განსახილველ დავაზე.

20.) სასამართლო - საქართველოს სხვადასხვა დონის სასამართლო, რომელთა უფლებამოსილება და კომპეტენცია საარბიტრაჟო დავაში, განისაზღვრება კანონით.

21.) არბიტრის თანაშემწე - არის საზოგადოების აპარატის თანამშრომელი, რომელსაც ზოგადად სამეურნეო ხელმძღვანელობას უწევს საზოგადოების დირექტორი, საარბიტრაჟო საქმისწარმოებისას ემორჩილება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს და იმავდროულად ეხმარება არბიტრს საარბიტრაჟო საქმისწარმოების მომზადებასა და მასზე საბოლოო გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში, ასევე უზრუნველყოფს კომუნიკაციას საარბიტრაჟო დავის მხარეთა, პროცესის მონაწილეთა შორის.

22.) არბიტრაჟის სხდომის მდივანი - არის საზოგადოების აპარატის თანამშრომელი, რომელსაც ზოგადად სამეურნეო ხელმძღვანელობას უწევს საზოგადოების დირექტორი, საარბიტრაჟო საქმისწარმოებისას არის დამოუკიდებელი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის დავალებით / დადგენილებით ასახავს არბიტრაჟის და დავის მხარეთა პოზიციებს საარბიტრაჟო სხდომის ოქმში და ასრულებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებებს, რასაც ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით.

მუხლი 2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ადმინისტრაცია და რეგისტრატორი.

1.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საქმიანობას ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. ხოლო, არბიტრაჟის საქმიანობას კი - არბიტრაჟის თავმჯდომარე.

2.) კანცელარიის საქმიანობას წარმართავს რეგისტრატორი, ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში კი - საზოგადოების სხვა თანამშრომელი, რომელსაც მოვალეობის შესრულების დროს აქვს სათანადო დაშვება საზოგადოების და მათ შორის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ოფიციალურ დოკუმენტებთან.

3.) რეგისტრატორი, იმავდროულად შეიძლება იყოს არბიტრის თანაშემწე და / ან არბიტრაჟის სხდომის მდივანი.

მუხლი 3. არბიტრაჟის ფორმირება.

1.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ან საარბიტრაჟო დავის მხარეები - ურთიერთ შეთანხმებით, სამოქალაქო დავის განხილვის მიზნით ნიშნავს დავის განმხილველ არბიტრაჟს, ერთი ან რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით.

2.) რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით განისაზღვრება არბიტრაჟის შემადგენლობა, თუ აღნიშნულზე წინასწარ წერილობით შეთანხმებულნი არიან მხარეები და / ან საქმის სფეროვიდან გამომდინარე, რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით დავის განხილვის აუცილებლობას დაადგენს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“. „არბიტრაჟი“-ს შემადგენლობა უნდა შედგებოდეს მხოლოდ კენტი რაოდენობის არბიტრებისაგან.

3.) არბიტრაჟის სხდომას უძღვება არბიტრაჟის თავმჯდომარე. არბიტრაჟის 1 არბიტრის შემადგენლობით განსაზღვრის დროს, არბიტრაჟს თავმჯდომარეობს იგივე არბიტრი. ხოლო, 3 და მეტი არბიტრის შემადგენლობით არბიტრაჟის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბიტრაჟის თავმჯდომარე აირჩევა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4.) არბიტრად დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით და ამ დებულებით დადგენილ კრიტერიუმებს.

5.) თუ არბიტრად დანიშვნის კანდიდატი არ არის საზოგადოების თანამშრომელი, იგი ვალდებულია, ხელი მოაწეროს:

5.1.) თანხმობას, არბიტრად დანიშვნის თაობაზე და გააფორმოს ხელშეკრულება საზოგადოებასთან, შრომის ანაზღაურების შესახებ;

5.2.) დეკლარაციას ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შესახებ და / ან განაცხადოს თვით აცილება, თუ ეჭვქვეშ დგება მისი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

6.) (ამოღებულია).

7.) (ამოღებულია).

8.) არბიტრის შეცვლა, ან უფლებამოსილი მხარის მიერ მისი აცილების საკითხი განისაზღვრება კანონით.

9.) (ამოღებულია).

მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვა.

1.) არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის საფუძველია, მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით.

2.) საარბიტრაჟო პრეტენზიაში უნდა აისახოს:

ა.) დავის მონაწილე, თითოეული მხარის სახელი, გვარი, ან დასახელება. ასევე, მისამართი, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (თუ ცნობილია). იგივე ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს მხარის წარმომადგენლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ.) მითითება საარბიტრაჟო დათქმის (შემდგომში - საარბიტრაჟო შეთანხმება), გარემოებების (მტკიცებულებების) და დავის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ;

გ.) დავის შინაარსი და მითითება არბიტრაჟის მიერ, ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით;

დ.) საარბიტრაჟო პრეტენდენტის (სასარჩელო) მოთხოვნა და მისი ფასი, თუ სარჩელის ფასის განსაზღვრა წინასწარ შესაძლებელია. მხარის მითითება სარჩელის ფასთან დაკავშირებით, არ ზღუდავს არბიტრაჟს, განსაზღვროს სარჩელის / საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასი, ან მისი დადგენისათვის მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

ე.) დანართის სახით წარმოდგენილი / თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი;

3.) საარბიტრაჟო პრეტენზიას:

3.1.) სავალდებულო წესით დაერთვის:

ა.) დანართის სახით საარბიტრაჟო პრეტენზიაში ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტის დედანი (ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი);

ბ.) შუამდგომლობა(ებ)ი, მოთხოვნის უზრუნველყოფის, ინდივიდუალური მტკიცებულების წარმოდგენის მოწინააღმდეგე მხარისათვის დავალების, მოწმეთა დაბარებისა და სხვა სახის საჭიროებათა შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ.) საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის მინიმალური ოდენობის - 100 (ასი) აშშ დოლარის (გადახდის დღისათვის არსებული სებ კურსის) ექვივალენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

3.2.) დაინტერესებული მხარე, საარბიტრაჟო პრეტენზიას და თანდართულ მასალებს წარუდგენს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს იმდენ ეგზემპლარად, რაც საკმარისი იქნება თითოეული მონაწილე მხარისა და არბიტრაჟისათვის გადასაცემად. ხოლო, რამდენიმე არბიტრის მიერ, სადაო საკითხის განხილვის შესახებ, მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში კი - საარბიტრაჟო პრეტენზიას და თანდართულ მასალების ასლები, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს არბიტრთა რაოდენობის შესაბამისად;

4.) საარბიტრაჟო განხილვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟში იწყება, საარბიტრაჟო პრეტენზიის მოპასუხისადმი გადაცემის დღეს. ხოლო, რამდენიმე მხარის არსებობის შემთხვევაში კი - დავის მონაწილე მხარეთა შორის ყველა ადრესატის მიერ, გზავნილის მიღების ბოლო დღეს. საამისოდ არბიტრაჟის ყოველ მცდელობათა შორის ინტერვალი არ უნდა იყოს 20 დღეზე მეტი.

5.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კანცელარია, საარბიტრაჟო მასალებს, ატარებს კანცელარიის ჟურნალის სპეციალურ გრაფაში და არაუგვიანეს შემდგომი 5 სამუშაო დღისა, გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ან შესაბამისად მოცემულ დავაზე უკვე განსაზღვრულ არბიტრაჟს.

6.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ან მისი არ ყოფნის დროს საზოგადოების დირექტორი, საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, დადგენილების სახით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა.) საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღების შესახებ;

ბ.) ხარვეზის დადგენის შესახებ;

გ.) დავაზე არბიტრაჟის კომპეტენციის არ ცნობისა და მის საარბიტრაჟო წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

7.) საარბიტრაჟო პრეტენზია არ მიიღება, ან მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება, თუ:

ა.) დავის იმავე საკითხზე და იმავე მხარეთა შორის წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით, არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება / განჩინება, სადავო საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

ბ.) მოცემულ დავასთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან, ან შეთანხმების მიუხედავად, დარღვეულია გასაჩივრებისათვის მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ.) საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

დ.) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ე.) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

ვ.) არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში, მხარემ ჯეროვნად არ გადაიხადა, არბიტრაჟის მიერ დადგენილი ოდენობის, წინასწარ გადასახდელი საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადი;

ზ.) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, პირდაპირაა გათვალისწინებული, დავის სხვა არბიტრაჟში განხილვის ვალდებულება.

8.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟი:

8.1.) უფლებამოსილია საარბიტრაჟო პრეტენზიის შემომტანს დაუდგინოს ხარვეზი, თუ:

ა.) საარბიტრაჟო პრეტენზია არ არის სრულყოფილი;

ბ.) იგი შედგენილი არის ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევით;

გ.) წინასწარ გადახდილი არ არის საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის მინიმალური ოდენობა;

დ.) საარბიტრაჟო სარჩელი / პრეტენზია და თანდართული მასალები, ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის „3.2.“ პუნქტით განსაზღვრული ეგზემპლართა ოდენობით არ არის წარმოდგენილი არბიტრაჟში.

8.2.) არ არის ვალდებული, საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის მინიმალური ოდენობის სახით გადახდილი თანხა მთლიანად, ან ნაწილობრივ დაუბრუნოს მის გამამხდელს, თუ ვალდებულმა (დავის) მხარემ, არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში:

ა.) არ უზრუნველყო, იმავე არბიტრაჟის მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორება;

ბ.) საარბიტრაჟო პრეტენზია (ან შესაბამისად შეგებებული სარჩელი) განუხილველად გაითხოვა უკან;

გ.) მოწინააღმდეგე მხარესთან დავა დაასრულა მორიგებით.

9.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ამავე დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრავს არბიტრაჟის შემადგენლობას, რომელიც შემდგომ წარმართავს საქმეს.

10.) არბიტრაჟში მხარეთა შორის დავა განხილვა წინამდებარე დებულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.) არბიტრაჟში დავის განხილვა წარმოებს მუდმივმოქმედ არბიტრაჟის ოფისში. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის (ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში - საზოგადოების დირექტორის) მიერ წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას, რომლის შესახებაც გონივრულ ვადაში ეცნობება მხარეებს.

12.) არბიტრაჟი ვალდებულია, მხარეს აცნობოს ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სულ ცოტა 5 დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე.

13.) საარბიტრაჟო მოპასუხისა და მე-3 პირების მიმართ, საარბიტრაჟო შესაგებლის, საარბიტრაჟო შეგებებული სარჩელის / შეგებებული პრეტენზიის და / ან შუამდგომლობების წარმოდგენის შემთხვევაში, გამოიყენება მხოლოდ ის მოთხოვნები, რაც ანალოგიურ ინიციატივაზე განსაზღვრულია საარბიტრაჟო პრეტენდენტისათვის / მოსარჩელისათვის;

14.) არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია არბიტრაჟის სხდომის გახსნის შემდეგ, მხარეთა შუამდგომლობით და / ან არბიტრაჟის ინიციატივით, სხდომის დარჩენილი ნაწილი, ან წინასწარ განსაზღვრული ეტაპი გამოცხადდეს საჯაროდ.

15.) არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად, ან ზეპირი მოსმენის გარეშე, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები განსხვავებულ პირობებზე შეთანხმებულნი არ არიან წერილობით.

16.) არბიტრაჟს შეუძლია საქმე გადაწყვეტოს მხარეთა ახსნა-განმარტების გარეშე, თუ მხარე თავს არიდებს არბიტრაჟში გამოცხადებას, ახსნა - განმარტების მისაცემად.

17.) მხარის მიერ საარბიტრაჟო შეპასუხების უფლების არ გამოყენება, არ აფერხებს არბიტრაჟს კანონის შესაბამისად მიიღოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

18.) არბიტრაჟი საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარე(ებ)ს შესაგებლის, მტკიცებულებების, ინფორმაციის წარმოდგენისათვის განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. თუ წარმოდგენილი დოკუმენტი, ინფორმაცია, მტკიცებულება შეიცავს ხარვეზს მის აღმოსაფხვრელად არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს ხარვეზის ვადის გაგრძელება.

19.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და / ან განსახილველი დავისათვის ფორმირებული არბიტრაჟი, უფლებამოსილია, საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის მთლიანად, ან ნაწილობრივ გადახდისათვის, მისივე მიერ დადგენილი ვადის მიუხედავად, განაგრძოს საარბიტრაჟო საქმის განხილვა, თუ საარბიტრაჟო მომსახურების გადახდის ვალდებულები მხარე „საზოგადოება“-სთან გააფორმებს სათანადო ხელშეკრულებას, მომსახურების გადასახადის გადახდის ვადის გადავადების შესახებ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის, არბიტრაჟის ინიციატივით ანაზღაურება არ დაეკისრება საარბიტრაჟო დავაში მოწინააღმდეგე მხარეს, მიუხედავად დავის გადაწყვეტის შედეგისა.

20.) საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღებიდან, დავის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე, პრეტენდენტს უფლება აქვს უკან გაითხოვოს საარბიტრაჟო პრეტენზია. ასეთ შემთხვევაში, დავა წყდება და არბიტრაჟის მიერ, პრეტენდენტის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მისი შემდგომი განხილვის გარეშე უკან უბრუნდება საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული დოკუმენტები.

21.) არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას, თუ საარბიტრაჟო დათქმით წინასწარ, სხვა რამ არ არის დადგენილი.

22.) საარბიტრაჟო საქმის წარმოების ვადა მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, როგორც წესი განისაზღვრება 50 დღით, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილ ვადაზე მეტი.

23.) არბიტრის აცილების საკითხი განსაზღვრულია კანონით.

24.) რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟში დაუშვებელია, სადავო საკითხზე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს:

ა.) საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავოს რომელიმე არბიტრმა;

ბ.) თუ რომელიმე არბიტრი არ ეთანხმება, არბიტრაჟის შემადგენლობის უმრავლესობის პოზიციას, იგი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება წერილობით დაურთოს არბიტრაჟის იმ გადაწყვეტილებას, ან დადგენილებას, რომელსაც არ ეთანხმება იგი.

მუხლი 5. მოპასუხის შესაგებელი და შეგებებული პრეტენზია (სარჩელი).

1.) არბიტრაჟი საარბიტრაჟო პრეტენზიის, თანდართულ მასალების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის (ან მისი მოვალეობის შემსრულებლის) დადგენილებას არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის, არბიტრაჟის შემადგენლობის განსაზღვრისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების შესახებ, უგზავნის მოპასუხე მხარე(ებ)ს და მე-3 პირ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.) მხარე ვალდებულია, არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არბიტრაჟს წარუდგინოს საარბიტრაჟო შესაგებელი, ან გამოსაწეროს ხარვეზი. საარბიტრაჟო შესაგებელში აღნიშნული უნდა იყოს:

ა.) ცნობს თუ არა მხარე საარბიტრაჟო პრეტენზიას (სრულად, ან ნაწილობრივ);

ბ.) აპირებს თუ არა შეგებებული პრეტენზიის წარმოდგენას არბიტრაჟში;

გ.) გარემოებები (მტკიცებულებები) და ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც საფუძვლად ედება მხარის მოთხოვნას.

3.) მოპასუხემ და მე-3 პირებმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საარბიტრაჟო შესაგებელი და / ან შეგებებული სარჩელი (პრეტენზია), თუ შუამდგომლობა, არბიტრაჟს უნდა წარუდგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენიც საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის განსაზღვრულია ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის „3.2.“ პუნქტით.

მუხლი 6. საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე.

1.) არბიტრაჟი უფლებამოსილია, განიხილოს სადაო საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ:

ა.) საარბიტრაჟო შესაგებელთან და / ან შესაგებელთან დაკავშირებული, პრეტენდენტის წერილობით პოზიციასთან ერთად, ან არბიტრაჟის მიერ საამისოდ სპეციალურად განსაზღვრულ სხვა ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ერთ-ერთმა მხარემ მაინც წერილობით არ მოითხოვა დავის განხილვა მხოლოდ ზეპირი მოსმენით.

ბ.) მოპასუხემ არბიტრაჟში წარმოადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი და / ან საარბიტრაჟო შეთანხმება ცალსახად ითვალისწინებს სადავო საკითხის განხილვას მხოლოდ შპს „PAEL Georgia“-ს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, თანახმად, მისივე დებულებისა;

გ.) მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა და / ან დავის განხილვისათვის ფორმირებულმა არბიტრაჟმა, მისივე ინიციატივით არ დაადგინა, რომ საჭიროა მხარეთა ახსნა - განმარტებების ზეპირი ფორმით მოსმენა, ან მოწმეთა გამოკითხვა;

დ.) მხარეები წერილობით არიან შეთანხმებული, რომ არბიტრაჟმა განიხილოს დავა მხოლოდ ზეპირი მოსმენით.

2.) (ამოღებულია);

3.) არბიტრაჟი თუ ჩათვლის, რომ პრეტენდენტის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მოწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მას შეუძლია თითოეულ მხარეს გაუგზავნოს შეკითხვები და მოსთხოვოს მათ დადგენილ ვადებში ამ შეკითხვებზე წერილობითი პასუხის მოწოდება. ამასთან, არბიტრაჟი უფლებამოსილია საქმის გარემოებების და მხარეთა მიერ მოწოდებული დოკუმენტების გათვალისწინებით დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, მხარეთა ზეპირი ახსნა - განმარტებების მისაღებად.

მუხლი 7. საარბიტრაჟო მოსაკრებელი და ხარჯები.

1.) საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს:

ა.) დებულების ამავე მუხლით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთის სტანდარტულ ოდენობას;

ბ.) დავის მხარეთა შუამდგომლობ(ებ)ის ფასს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ.) „საზოგადოების“ ოფისს გარეთ, არბიტრაჟის სხდომის ჩატარებისათვის აუცილებელ სხვა ხარჯებს (ქირა, ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება და ა.შ.);

დ.) თარჯიმნ(ებ)ის, სპეციალისტ(ებ)ის მოწვევისა და ექსპერტიზის, ადგილზე დათვალიერებასთან დაკავშირებული და / ან მათ უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯებს;

ე.) საარბიტრაჟო საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს დახმარებისათვის კანონით განსაზღვრულ ხარჯებს, თუ ამგვარი ხარჯების ანაზღაურებაზე არ იმსჯელებს სასამართლო და / ან ამგვარი ანაზღაურების ვალდებულება განსაზღვრული არ არის კანონით, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.

2.) საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის ოდენობას, მისი წინასწარ გადახდისა და ასევე, მხარეთა შორის მისი განაწილების / ანაზღაურების წესსა და ოდენობას ადგენს და / ან დადგენის შემდგომ აკორექტირებს:

2.1.) „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს თავმჯდომარე, ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში - „საზოგადოების“ დირექტორი;

2.2.) არბიტრაჟი, თუ იგი:

ა.) დაადგენს, რომ მისი ფორმირების შემდგომ გამოვლენილ და წინასწარ განსაზღვრული, მომსახურების გადასახადის ოდენობის დადგენის შემდეგ, აუცილებელი გახდა მომსახურებათა ხარჯების კორექტირება;

ბ.) საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადის სახით, უკვე დადგენილი ოდენობის კორექტირების შესახებ დადგენილებას მიიღებს დაინტერესებული მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად.

3.) საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადი განისაზღვრება:

3.1.) სარჩელის ფასის ნაწილში (სტანდარტული ოდენობით):

ა.) მატერიალური მოთხოვნის შემთხვევაში - დავის საგნის ფასის 1-დან 2%-მდე;

ბ.) არამატერიალური მოთხოვნის შემთხვევაში - 500 (ხუთასი)-დან 1000 (ათას) ლარამდე.

3.2.) შუამდგომლობის ნაწილში - ფიქსირებული:

ა.) 50 (ორმოცდაათი) ლარით (მაგრამ არანაკლებ 20 აშშ დოლარისა), თუ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში სავარაუდოდ საჭირო იქნება კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს დახმარება და / ან დადგენილების ცნობა - აღსრულება;

ბ.) 10 (ათი) ლარით (მაგრამ არანაკლებ 3 აშშ დოლარისა), თუ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით არ ივარაუდება სასამართლოს დახმარება და / ან დადგენილების ცნობა - აღსრულება.

4.) იმ შემთხვევაში, თუ:

4.1.) რომელიმე მხარე მოითხოვს სადავო საკითხის განხილვას და დავის გადაწყვეტას:

ა.) მხარეთა ზეპირი მოსმენით ჩატარებულ არბიტრაჟის სხდომაზე, იგი ვალდებულია საარბიტრაჟო მომსახურების სტანდარტული გადასახადის სახით დადგენილი ოდენობა, წინასწარ გადაიხადოს ორმაგი ოდენობით;

ბ.) რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით შექმნილი არბიტრაჟის მეშვეობით, იგი ვალდებულია საარბიტრაჟო მომსახურების სტანდარტული გადასახადის სახით დადგენილი ოდენობა, წინასწარ გადაიხადოს იმ ციფრზე გამრავლებით, რამდენი არბიტრიც განიხილავს მოცემულ დავას.

4.2.) ერთმა მხარემ მოითხოვა მხარეთა ზეპირი მოსმენით ჩატარებულ არბიტრაჟის სხდომაზე, ან რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით შექმნილი არბიტრაჟის მეშვეობით, დავის განხილვა და მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე და / ან საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა შორის აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს წინასწარი წერილობითი საარბიტრაჟო დათქმა, მოწინააღმდეგე მხარეს არ დაეკისრება, არბიტრაჟის მომსახურებისათვის, დებულების ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „4.1.“ პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო მომსახურების გაზრდილი განაკვეთის ანაზღაურების ვალდებულება.

5.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის მაქსიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს, დავის ზეპირი:

5.1.) მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში - 1000 (ათას) ლარზე, ან 500 აშშ დოლარზე მეტი;

5.2.) მოსმენით განხილვის შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე არის:

ა.) ფიზიკური პირი - 10.000 (ათიათას) ლარზე, ან 5000 აშშ დოლარზე მეტი;

ბ.) იურიდიულ პირი - 50.000 (ორმოცდაათიათას) ლარზე, ან 25000 აშშ დოლარზე მეტი.

6.) არბიტრაჟი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარის შუამდგომლობა, პროცესის დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო მომსახურების ოდენობის გაზრდის შესახებ, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო მომსახურებისათვის დადგენილი გადასახადის ოდენობა უკვე, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების გარეშე აღწევს ამავე დებულების მე-7 მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ, მომსახურების გადასახადის მაქსიმალურ ოდენობას.

7.) (ამოღებულია);

8.) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე განსაზღვრული ხარჯების ოდენობა, შესაბამისი პროპორციით ტოლი უნდა იყოს შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის განსაზღვრული ხარჯების ოდენობისა.

9.) ამ მუხლით დადგენილი წესი ვრცელდება იმ საარბიტრაჟო დავებზეც, რომელშიც მხარეთა (პირდაპირი) შეთანხმებით იხილება სხვა არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

10.) მხარეთა შორის საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი. ხოლო, არბიტრთა შრომის ანაზღაურების საკითხს განსაზღვრავს „საზოგადოება“.

მუხლი 8. მხარეები, წარმომადგენლობა და თანამონაწილეობა.

1.) არბიტრაჟში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული, ქმედუნარიანი პირები, ასევე სახელმწიფო დაწესებულება - ორგანიზაციები და ტერიტორიული სტრუქტურული მმართველობის, ან თვითმმართველობის ორგანოები. შეზღუდულ ქმედუნარიანი, ან ქმედუნარო ფიზიკური პირები, არბიტრაჟში წარმოდგენილ უნდა იქნენ მეურვის, ან მზრუნველის სახით და ასეთ შემთხვევაში საქმეში სავალდებულოა ადვოკატის, ან ისეთი წარმომადგენლის ჩაბმა, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

2.) მხარეები არბიტრაჟში დავას აწარმოებენ, როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტი, პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს წარმომადგენლობის უფლებას მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში.

3.) საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ, ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა.) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

- ბ.) მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველიდან;
- გ.) მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი.
- 4.) თანამონაწილეები სარგებლობენ კანონით და ამ დებულებით მხარისათვის მიწიჭებული ყველა უფლებით.
- 5.) თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე, ან მზრუნველი.
- 6.) იმ შემთხვევაში თუ შეზღუდულ ქმედუნარიანი, ან ქმედუნარო ფიზიკური პირი არ არის წარმოდგენილი ადვოკატით, ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე წარმომადგენლით, არბიტრაჟი მიმართავს საზოგადოების დირექტორს მოთხოვნით და იმავე მხარის ხარჯზე, უზრუნველყოფს საქმეში იურისტის ჩაბმას.

მუხლი 9. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

- 1.) (ამოღებულია);
- 2.) არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არის საარბიტრაჟო პრეტენზიისა და თანდართული მასალების მოპაუხისადმი გადაცემიდან 1 თვე, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გაგრძელდეს კანონით დადგელი წესით.
- 3.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ განიხილავს დავას, თუ მხარეები შეთანხმებულნი არიან ისეთ ვადებზე, რომელთა დაცვის შემთხვევაში კანონით დადგენილი პროცედურების და სავალდებულო ვადების დაცვა შეუძლებელია.
- 4.) თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნა გამოტანილი, არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ მხარეთა მიერ, ასეთი კოლიზიის წარმოშობის დროისათვის, სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან 10 დღის ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები.
- 5.) თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების, არანაკლებ უბრალო უმრავლესობით.
- 6.) არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის (ყველა) წევრი არბიტრ(ებ)ი. თუ რომელიმე არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში, ხოლო ხელის მოწერაზე უარის მთქმელი არბიტრი, უფლებამოსილია წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია და დაურთოს იგი არბიტრაჟის გადაწყვეტილებას.
- 7.) არბიტრაჟის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება, თავი შეიკავოს ხმის მიცემის და გადაწყვეტილების დადგენისას, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან.
- 8.) არბიტრებს უფლება არ აქვთ, გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.
- 9.) არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს სამოტივაციო (იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება) და დადგენილებით ნაწილს. თუ არბიტრაჟი საჭიროდ ჩათვლის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ასევე, შეიძლება შეიცავდეს შესავალს და აღწერილობით ნაწილებსაც. გადაწყვეტილების თითოეული ნაწილი მოიცავს შემდეგ დებულებებს:
 - ა.) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება: გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრაჟის სხდომის მდივანი, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანი;
 - ბ.) გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას პრეტენდენტის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებლზე;
 - გ.) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს: არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონი ან / და სხვა სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა;
 - დ.) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, ასევე მითითებას საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების თაობაზე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე;
- 10.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში.

11.) თუ მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განხილულ იქნეს ამ დებულების შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, „საზოგადოების“ მიერ კომენტარების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნება, არ საჭიროებს მხარეთა დამატებით თანხმობას;

12.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ ყველა, ან ერთ-ერთი მხარის თანხმობით / მოთხოვნით, თუ მხარეები სხვა წესზე არ შეთანხმებულან.

13.) არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა შეთანხმების არსებობისას, გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში განმარტოს გადაწყვეტილება, ან მიიღოს მოტივირებული დადგენილება გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ. მხარეთა შეთანხმების არსებობად ჩაითვლება და შესაბამისად მუხლის ამ პუნქტით დადგენილი უფლებით სარგებლობს ნებისმიერი მხარეც, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს დავის ამ დებულებით, ან ამავე „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს მიერ განხილვას.

14.) კანონით დადგენილი წესით და ვადებში, არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, ან მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება.

15.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში სამოტივაციო ნაწილების მითითება სავალდებულო არ არის, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა მორიგების საფუძველზე (არბიტრაჟის შესახებ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად);

16.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის, კანონით დადგენილი წესით მისი გამოტანის მომენტიდან მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

17.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს.

18.) (ამოღებულია).

19.) (ამოღებულია).

20.) თუ მხარეები სხვა რამეზე პირდაპირ არ არიან შეთანხმებულნი, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვა სხვა კერძო მუდმივ მოქმედი არბიტრაჟის მიერ დაუშვებელია.

21.) (ამოღებულია).

მუხლი 10. დასკვნითი და გარდამავალი დებულება.

1.) მუდმივმოქმედ არბიტრაჟში მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავის განხილვისას საკითხები, რომლებიც წინამდებარე დებულებით არაა განმარტებული, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.) ამ დებულებით დადგენილ ნორმებთან შედარებით, მხარეთა წერილობით შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ აღნიშნული შეთანხმება პირდაპირ და გარკვევით, განსხვავებულად არეგულირებს ამავე დებულებით რეგულირებულ, შესაბამის სამართალურთიერთობებს.

3.) ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისი არ დაიშვება, თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმების ნორმები ეწინააღმდეგება კანონს.

4.) იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს დავის ამ დებულების თანახმად განხილვას და საარბიტრაჟო საქმის წარმოების დაწყებამდე, ან დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მუდმივმოქმედ არბიტრაჟმა დროებით შეაჩერა სამეწარმეო საქმიანობა, ლიკვიდირებულ იქნა როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი და / ან რეორგანიზებულ იქნა იმდგვარად, რომ შემდგომში „საზოგადოება“ არ არის უფლებამოსილი განახორციელოს საარბიტრაჟო საქმის წარმოებები მხარეთა შორის არსებულ სამოქალაქო დავებზე, ჩაითვლება, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვერ ასრულებს წინასწარ დეკლარირებულ მომსახურებას.

5.) თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს დავის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში განხილვას, ან საარბიტრაჟო მოპასუხე (კ/დადგენილი წესით) არ გაასაჩივრებს არბიტრაჟის კომპეტენციას, ჩაითვლება, რომ მხარეები შეთანხმებულნი არიან, საარბიტრაჟო დავა განხილულ იქნეს ამ დებულების შესაბამისად, თუ საარბიტრაჟო დათქმით სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

6.) იმ შემთხვევაში თუ, საარბიტრაჟო დათქმა პირდაპირ ითვალისწინებს დავის მხოლოდ შპს „PAEL Georgia“-ს (ს/კ.: 401962710) მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში განხილვას, ან საარბიტრაჟო საქმის წარმოება უკვე მიმდინარეობს „არბიტრაჟში“ და აღმოჩნდება, რომ საარბიტრაჟო საქმიანობის შეჩერების, ან ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო, ამ

არბიტრაჟი ვერ ასრულებს წინასწარ დეკლარირებულ მომსახურებას, „საზოგადოება“ ვალდებულია, შესაბამის მხარეს უკანვე დაუბრუნოს უკვე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის სრული ოდენობა და აღნიშნულის შედეგად, დაინტერესებულ მხარეს, იგივე დავის განსახილველად უფლება აქვს მიმართოს სხვა ნებისმიერ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს და მოითხოვოს სადავო საკითხის გადაწყვეტა ამავე დებულების შესაბამისად.

7.) ეს დებულება ძალაშია 25.10.2009 წ-დან და მასში, შემდგომში შეტანილ ცვლილებებს აქვს იურიდიული ძალა, ასეთი ცვლილებების საქართველოს მასშტაბით გავრცელებად რომელიმე გაზეთში და / ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ოფიციალურ ვებ მისამართზე: www.myadvocate.ge-ზე, გამოქვეყნების მომენტიდან.

8.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში ან / და ისეთ შემთხვევაში, როდესაც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უკვე დანიშნულია (არჩეულია) არბიტრაჟის შემადგენლობაში, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, მის მოვალეობას ასრულებს „საზოგადოების“ დირექტორი.

9.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო მხარეთა მიერ სხვა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საკითხი წყდება კანონის თანახმად.

10.) ნორმათა კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში, კანონის შესაბამის ნორმას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

11.) დებულებაში შეტანილი ცვლილებები, ძალაში შედის მისი დამოქვეყნებიდან 35 დღეს და იგი იურიდიულ ძალას იმენს მხოლოდ იმ საარბიტრაჟო საქმეებთან მიმართებით, რომლთანაც დაკავშირებული საარბიტრაჟო პრეტენზია, მუდმივმოქმედ არბიტრაჟის კანცელარიაში (რეგისტრატორთან) შემოსულია, შესაბამისი ცვლილებების www.myadvocate.ge-ზე გამოქვეყნებიდან 37-ე დღის შემდეგ.

12.) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, შესაძლებელია მხოლოდ „საზოგადოების“ დირექტორის ბრძანებით.

დებულება დამტკიცებულია. შ.პ.ს. „კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს პარტნიორთა კრების მიერ, 18.09.2009 წ-ს.

დებულება გამოქვეყნდა: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში 24.09.2009 წ. N: 190-192, გვ. 38. ორგანიზაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 22.09.2011 წ-ს. ძველი საიდენტიფიკაციო კოდი არის: 205184977, ახალი საიდენტიფიკაციო კოდი: 401962710.

შ.პ.ს. „PAEL Georgia“, არის შ.პ.ს. „კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს სამართალმემკვიდრე. რედაქტირებული დებულების სამართალმემკვიდრეობა, აღიარებულია შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს დირექტორის 04.10.2011წ-ს N11-2/5 ბრძანებით. დანართი N4.

არბიტრაჟის დებულებაში ცვლილებები შეტანილია:

- 04.10.2011წ-ს N11-2/5 ბრძანებით და გამოქვეყნებულია გაზეთ „სიტყვა და საქმე“-ში, 2011 წ-ს ოქტომბერი, აგრეთვე, www.myadvocate.ge -ზე - 04.10.2011 წ-ს;
- 05.01.2015 წ-ს N501-2/1 ბრძანებით და გამოქვეყნებულია www.myadvocate.ge -ზე - 05.01.2015 წ-ს;
- 08.01.2015 წ-ს N501-2/2 ბრძანებით და გამოქვეყნებულია www.myadvocate.ge -ზე - 08.01.2015 წ-ს;

დებულების კოდიფიცირებული ვერსია ძალაშია 2015 წლის 17 თებერვლიდან.